თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7621589

ნომერი: AR11107915

თარიღი : 10.09.2025

გაცემის თარიღი : 12.09.2025

გაცნობის თარიღი : 12.09.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N23, კორპუსი N5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ავთანდილ მახარობლიშვილი პ/ნ 01008018073
- თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 86 ბ. 8

ორგანიზაცია:

- შპს "ლენდმარკ პროჯექტი" კოდი: 405221843

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2025 წლის 10 სექტემბრის №AR11107915 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 10 სექტემბერს №AR11107915 განცხადებით მომართა ავთანდილ მახარობლიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 17 დეკემბრის №7323811 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 17 დეკემბრის №7323811 ბრძანებით შეთანხმდა №№01.10.10.025.098 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

სამსახურის 2025 წლის 8 ივლისის №7544928 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2024 წლის 17 დეკემბრის №7323811 ბრძანებაში მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით.

სამსახურის 2025 წლის 16 ივლისის №7554913 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 17 დეკემბრის №7323811 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით და საერთო ფართობად დაფიქსირდა 29062.09 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად - 13197.59 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 2475.13 კვ.მ. და შეთანხმებული 24-ე სართულის გეგმა ჩანაცვლდა 2025 წლის 9 ივლისის №AR11099589 განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე სართულის გასწორებული გეგმით.

სამსახურის 2025 წლის 30 ივლისის №7572375 ბრძანებით კვლავ გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 17 დეკემბრის №7323811 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობად დაფიქსირდა 2471.92 კვ.მ., საერთო ფართობად - 29058.88 კვ.მ.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს, სამსახურის 2024 წლის 17 დეკემბრის №7323811 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირდეს 0.000 ნიშნულზე მდებარე ღია ავტოსადგომების ფართობი 469 კვ.მ.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 17 დეკემბრის №7323811 ბრძანებით შეთანხმებულ +0.000 ნიშნულის გეგმაზე მდებარეობს 32 (ოცდათორმეტი) ღია ავტოსადგომი, თუმცა, აღნიშნულ ღია ავტოსადგომებზე არ არის მითითებული შესაბამისი ზომები (სიგრძე/სიგანე). საჭიროა, ღია ავტოსადგომებზე ფართობებთან ერთად მითითებული იქნას ზომები. აქვე განგიმარტავთ, რომ ღია ავტოსადგომების ფართობი არ შედის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, შესაბამისად, ავტოსადგომისა და საერთო ფართობში. თუმცა, შესაძლებელია მათი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაავალოს განმცხადებელს წარმოადგინოს განახლებული დოკუმენტაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ვბრძანებ:

1.დაევალოს განმცხადებელს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში:

1.1.დააზუსტოს მოთხოვნა ღია ავტოსადგომების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირებასთან დაკავშირებით.

1.2.წარმოადგინოს სამსახურის 2024 წლის 17 დეკემბრის №7323811 ბრძანებით შეთანხმებული 0.000 ნიშნულის გეგმის იდენტური ამავე ნიშნულის გეგმა ღია ავტოსადგომებზე ფართობებთან ერთად ზომების მითითებით.

2.ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2025 წლის 10 სექტემბრის №AR11107915 განცხადება დარჩეს განუხილველი.

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge